საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 02

201/ წ. „21“ იანვარი

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №1 სხდომის ოქმის შესაბამისად, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №1 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია